დამკვეთი: შპს „ჯოკო” (ტელ: 557 70 77 44)

საფუძველი: 12/13231275-16 19.08.2013წ.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, მიმდებარედ (ნაკვეთი №13/444) ქ. თბილისის საქ. სამხედრო გზაზე მუხათგვერდის სასაფლაოზე ასასვლელი გაუქმებულია ხიდის შემდეგ.
საკ.კოდი: 01.72.14.013.462

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება 26.10.2011წ. №01/3251
მშენებლობის სანებართვო მოწმობა 26.10.2011წ. №6/3412-1

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა III კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით(08.09.2013) დადგინდა:

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს: გაუქმებულია ან შეცვლილია გამწვანების ზოლები, მოწყობილია დაბალი ღობე. გარე კიბეების მოპირკეთება არ აღინიშნება პროექტში. შეცვლილია გარე და შიდა კიბეების გაბარიტი და კონფიგურაცია.

ფასადი „1-12”: შეცვლილია მოაჯირის ხის დეტალების რაოდენობა. „1-5” მონაკვეთში შემცირებული საჩრდილობლის სიმაღლე. „10-10” ღერძთან ლითონის სვეტს მონაცვლებული აქვს ადგილი. „1-3” მონაკვეთში შენობის ძირი მოპირკეთებულია ქვით. „1-2” „3-4” და „5-6” მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი.

ფასადი „ზ-ა”: „ბ-ა” მონაკვეთში შენობის ძირი მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით. მესამე სართულზე შეცვლილია ფანჯრის ნახატი და გაზრდილია მისი გაბარიტი.

ფასადი „ა-ზ”: შეცვლილია მოაჯირის ხის დეტალების რაოდენობა. ფასადი „12-1”: გრუნტის ნიშნული არ ემთხვევა საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია გამწოვი მილების ფორმა. „11-10” მონაკვეთში დამატებულია ფრამუგა. „6-5” მონაკვეთში ორ ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი. „3-2” მონაკვეთში ფრამუგაზე მოწყობილია გამწოვი.

-4.250 ნიშულზე „10-11” მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების ფორმა. -0.600 ნიშნულზე „4-5” მონაკვეთში გაუქმებულია კიბის საფეხურები და მოწყობილია სამზარეულოს ლიფტი. „2-3” მონაკვეთში ანტრესოლი 30კვ. სიმაღლე 2.3მ. +0.000 ნიშნულზე „9-10” მონაკვეთში მოწყობილი ანტრესოლი 18კვ.მ სიმაღლე 2.3მ. +10200 ნიშნულზე ერთი კიბის შახტის ნაცვლად მოწყობილია ორი კიბის შახტა დამატებულია ფრამუგა. „4-4” ღერძე მოწყობილია ორი კონდიციონერი. სახურავზე განთვსებულია ჩილერები.

პროექტის ხარვეზი: „9-12” მონაკვეთში სახურავი აღნიშნულია გეგმის ნახაზზე, ხოლო ფასადის ნახაზებში არა. აივნის ძირებზე დამატებულია ლითონის დეტალები რენდერების მიხედვით.

დაბალი ღობე ნაწილობრივ ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

კ. გიორგობიანი